



**პროფესორ თინათინ კახიაშვილის სემინარი: ადრეული სამყაროს სურათის აღდგენა გრავიტაციული ტალღების საშუალებით**

11 იანვარს, ორშაბათს, 16:00 საათზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის E306 აუდიტორიაში, ილიაუნის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორი, თინათინ კახიაშვილი, ჩაატარებს სემინარს თემაზე: "ადრეული სამყაროს სურათის აღდგენა გრავიტაციული ტალღების საშუალებით".

გრავიტაციული ტალღების ასტრონომია საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ სამყაროს ევოლუციის ადრეულ სტადიებს. სემინარზე განხილული იქნება გრავიტაციული ტალღების სხვადასხვა წყარო - ინფლაცია, კოსმოლოგიური ფაზური გადასვლები, პირველადი მაგნიტური ველები და ტურბულენტობა.

**დრო:** 11 იანვარი, 16:00 საათი

**ადგილმდებარეობა:** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის E306 აუდიტორია (ჩოლოყაშვილის გამზ. #3/5)



ანა კვანჭილაშვილი  
საზოგადოებასთან ურთიერთობის  
სამსახურის უფროსი  
577 42 20 09  
ana.kvanchilashvili@iliauni.edu.ge